ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

Georgia. The Assembly of Mestia Municipality

დ.მესტია

27.08.2021 წ.

საქართველო, დ.მესტია. სეტის მოედანი #1
ტელ: (995) 99 85 55 40
ელ.ფოსტა: mestiis.mun@gmail.com
www.mestia-sakrebulo.ge

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №29

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიას 2021 წლის 18 აგვისტოს განცხადებით (სარეგისტრაციო №-54) მიმართა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია **„ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს** თავმჯდომარემ კახა გუჯეჯიანმა, რომელმაც გამოთქვა სურვილი გავიდეს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია **„ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს** შემადგენლობიდან. „მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის № 24-ე დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს წევრს უფლება აქვს ამ რეგლამენტით დადგენილი წესით გაერთიანდეს ფრაქციაში ან ნებისმიერ დროს გავიდეს ფრაქციიდან. ფრაქციას უფლება აქვს ფრაქციის წესდებით დადგენილი წესით მიიღოს ახალი წევრი ფრაქციაში ან ფრაქციიდან გარიცხოს წევრი, ამავე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად თუ ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შედეგად მასში გაერთიანებული წევრთა რაოდენობა დარჩა საკრებულოს 3 წევრზე ნაკლები, ფრაქცია ითვლება გაუქმებულად, რასაც მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისია უახლოეს სხდომაზე აცნობებს საკრებულოს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, საქართველოს კანონის «საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" მესტიის მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №24-ე დადგენილების 35-ე მუხლის მე-9 და მე-14 პუნქტების, 107-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

1. ცნობად იქნეს მიღებული მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია - **„ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს** რეგისტრაციის გაუქმების შესახებ საკითხი (2021 წლის 22 აგვისტოდან).

გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს: მეტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ევრებს: კახა გუჯეჯიანს, დავით ნავერიანს, ვახტანგ ნაკანს; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაცნობისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (**მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12**).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე